# სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

**მაისი 2019**

2019 წლის მაისში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **128 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **219 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა მაისში **76 ლარი** შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა მაისში **494 ლარი** შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 612 ლარი შეადგინა, აჭარაში - 479 ლარი, ხოლო სამცხე-ჯავახეთში და კახეთში - 375 ლარი.




**გრაფიკი 1:** მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

## სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2019 წლის მაისში, 2019 წლის აპრილთან შედარებით, 6.7%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 4.1%-ით გაიზარდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 11.4%-ით.

2019 წლის მაისში, 2018 წლის მაისთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 3.4%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2.5%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 15.9%-ით გაიზარდა.

| რეგიონი | სასტუმრო | | 3*, 4*, 5* | | საოჯახო | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2019 მაი/ 2019 აპრ | 2019 მაი/ 2018 მაი | 2019 მაი/ 2019 აპრ | 2019 მაი/ 2018 მაი | 2019 მაი/ 2019 აპრ | 2019 მაი/ 2018 მაი |
| შიდა ქართლი | 10.2% | 6.4% | | | 10.2% | 6.4% |
| ქვემო ქართლი | 9.0% | -16.7% | 8.3% | 6.4% | 9.6% | -40.0% |
| რაჭა | 7.9% | 17.8% | | | 7.9% | 17.8% |
| სამცხე-ჯავახეთი | 7.6% | 6.6% | 4.7% | -0.4% | 9.8% | 12.3% |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 7.3% | 7.1% | 3.4% | -13.2% | 9.0% | 22.5% |
| აჭარა | 6.9% | 26.6% | 4.5% | 21.3% | 10.6% | 37.0% |
| თბილისი | 6.8% | -11.2% | 4.9% | -15.5% | 13.5% | 6.4% |
| გურია | 5.9% | 9.7% | 5.8% | 1.4% | 6.1% | 20.6% |
| კახეთი | 5.7% | 15.7% | 3.5% | -2.7% | 6.4% | 21.4% |
| მცხეთა-მთიანეთი | 5.4% | 14.2% | 2.5% | 12.8% | 7.9% | 15.4% |
| იმერეთი | 4.9% | 14.0% | 1.9% | 6.1% | 7.0% | 19.7% |
| სულ ფასების % ცვლილება | 6.7% | 3.4% | 4.1% | -2.5% | 11.4% | 15.9% |

**ცხრილი 1**: ფასების % ცვლილება 2019 წლის მაისში, 2019 წლის აპრილის ფასებთან შედარებით და 2018 წლის მაისის ფასებთან შედარებით

**1** შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოთანგარიშებით.

**2** საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

**3** სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.